პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 ოქტომბერი, კვირა, 1989 წ.
№ 198 (10 117) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სეოკ-ის დამფუძნებელ კონფერენციაზე...

გზა ალიარებისაკენ

ა. ციბაძე — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი:

ქალბატონებო და ბატონებო! პატივცემულო დელეგატებო! ძვირფასო სტუმრებო! ნება მომეცით, ერთი ძველი ამბავი გაგახსენოთ: გასული საუკუნის ბოლოს ქალაქ ანაპის მახლობლად, ძველბერძნულ სახელმწიფოს — ბოსფორის ყოფილ ტერიტორიაზე აღმოაჩინეს მარმარილოს ფილა ზედ ამოტვიფრული 270 მორბენლის გვარით, რომლებსაც გაუმარჯვიათ 2300 წლის წინათ ოლიმპიური თამაშების შემდეგ ყველაზე პრესტიჟულ ბოსფორის თამაშებში. ფილაზე აღბეჭდილ ბერძნულ გვარებს შორის არის ოთხი გვარი, რომელთაგანაც ორი —ქუთაისის და ორიც მესხეთის მკვიდრ ქართველებს ეკუთვნით.

მესამე საუკუნე ჩვენს ერამდე! ეს ხომ ის პერიოდია, როდესაც ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების აბსოლუტურ უმრავლესობას, საერთაშორისო სპორტული კავშირები კი არა, რაიმე სახელმწიფოებრივი წყობის ელემენტარული ნიშნებიც კი არ გააჩნდათ. ამას ისიც დაამატეთ, რომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლებიც გვაუწყებენ საქართველოში ბერძნული ოლიმპიადების ტაძუპისცალი თამაშების ჩატარების შესახებ და ნათელი გახდება, რომ ოლიმპიზმი საქართველოსათვის უცხო ხილი არ ყოფილა და კულტურული მოძრაობა ალამაზებდა მის ცხოვრებას ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ჩვენს ერამდე.

ეს და მსგავსი ათობით სხვა ფაქტი აღგვავსებს რა გარკვეული სიამაყის გრძნობით, ერთდროულად გვინერგავს იმის რწმენას, რომ დღეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა უპრიანი და ყოვლად სამართლიანი აქტია ისეთი ოლიმპიური ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენი საქართველოა.

თუ არა მეფის რუსეთის ტრადიციული კარჩაკეტილობა, ვინ მოსთვლის საქართველოს რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი ეყოლებოდა. როგორ ფიქრობთ, ჩვენი ფალავნები — სახდრო კანდელაკი, კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, შოთა ქვარიანი, მიშიკო მაჩაბელი, ძალოსნები — პეტრე მარღანიძე და გიორგი ჩიკვაიძე, ტანმოვარჯიშეები — გიორგი ნიკოლაძე და გიორგი ეგნატაშვილი, ჩვენი ცხენოსნები, რომლებმაც ტრიუმფით მოიარეს ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ხალხმრავალი არენები ერთი დარტყმით კამეჩის წამქცევი ვერელი თუ ხარფუხელი მოკრივეები — ვერ იქნებოდნენ ოლიმპიური ჩემპიონები, მათ მიმართ რომ მაშინ ვინმეს ყურადღება გამოეჩინა?!

ანდა შემდეგ, როცა გავუნაწყენდით კაპიტალისტურ სამყაროს და ოლიმპიადებისაკენ მიმავალი ყველა გზა გადავკეტეთ, განა ოლიმპიადის ოქროს მედლებს ვერ გაინაღდებდნენ ჩვენი ლეგენდარული ბორის პაიჭაძე და მისი სახელოვანი თანაგუნდელები, ქვეყნის ჩემპიონები ტანვარჯიშში გულო რცხილაძე და დღეს ბედის უკუღმართობით ამერიკაში გადახვეწილი პავლე რომანიშვილი. ჩვენი კალათბურთელების გუნდი „სინათლე“ ხომ მრავალი სხვა?

მადლობა ღმერთს ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველომ მაინც მოწინავე ოლიმპიური ქვეყნის სახელი დაიგდო. თქვენ გაგიჭირდებათ დედამიწის ზურგზე ხუთმილიონიანი ქვეყნის დასახელება, რომელსაც ჰყავდეს ოლიმპიადებში 131-ჯერ მონაწილე 108 ოლიმპიელი, ოლიმპიადის 28 ჩემპიონი და საერთოდ 84 მედალოსანი...

და ყოველივე ამის შემდეგ განა ბედის დაცინვად არ მოგეჩვენებათ ის ფაქტი, რომ სეიშელის კუნძულების პაწაწკინტელა სახელმწიფო, რომლის თითებზე ჩამოსათვლელი ოლიმპიელები ჩვენი პირველი თანრიგის დონეზეც არ დგანან, დამოუკიდებლად გამოდის ოლიმპიადაზე, საქართველო კი, რომლის 16 სპორტსმენი სეულის ოლიმპიადაზე 160 მონაწილე ქვეყნებს შორის მე-13 ადგილზეა, მოკლებულია ამ უფლებას.

დღეს, ძვირფასო მეგობრებო, ყველა ჩვენგანი ამ დარბაზში მყოფნი საფუძველს ვუდებთ რა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას, ვასრულებთ უაღრესად სამართლიან მისიას — ვასწორებთ საქართველოს მიმართ წლების მანძილზე დაშვებულ ნებასით თუ უნებლიედ შეცდომებს.

გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ, ჭეშმარიტ სუვერენულ ოლიმპიურ საქართველოს!

დავით გამყრელიძე — საქართველოს ექიმთა ასოციაციის წარმომადგენელი.

ბატონებო და ქალბატონებო! ნება მომეცით საქართველოს ექიმთა ასოციაციის სახელით მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი დღე. ეს დღე მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული სპორტისათვის, არამედ მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოსთვის.

ალბათ უკვე გაიარა ეროვნულმა თვითშეგნების გამოღვიძების პერიოდმა და დადგა ზნეობისა და ჰუმანიზმის აღორძინების საჭიროება. ჩვენი აზრით, სპორტიც და მედიცინაც სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება, რადგან უთქვამთ „ჯანმრთელ სხეულში, ჯანმრთელი სულიაო“. ოლიმპიური მოძრაობაც ხომ სწორედ ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, მეგობრობისა და ერთა შორის მშვიდობის იდეით განვითარდა და ჩამოყალიბდა. მაგრამ საუბედუროდ საბჭოთა კავშირში, ამ წმინდა იდეალებს ამოფარებულნი, ოლიმპიური თამაშებს ვითომდა კომუნისტური სისტემის უპირატესობის დასამტკიცებლად იყენებენ. ოლიმპიადა საბჭოთა პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა და აქ ყოველი გამარჯვება საბჭოთა სისტემის გამარჯვებად ითვლება. დადგა დრო, რომ საქართველომ კუთვნილი ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში.

ჩვენმა წინაპრებმა, დამოუკიდებლობის იმ მცირე სამწლიან პერიოდში, ვერ მოასწრეს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართვა და ეს დღეს გარკვეულ სირთულეებს გვიქმნის. ალბათ წინააღმდეგობას არც საკავშირო ოლიმპიური კომიტეტი დაგვაკლებს, რადგან იცის, რომ ეს საქართველოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება. დიდად არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შეიწუხებს თავს და ამ პირობებში ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ნებისყოფა, ჩვეული შემართება და ბრძოლის უნარი, რომ ყველას დავუმტკიცოთ, რომ საქართველო მსოფლიოს სრულუფლებიანი წევრია.

ექიმთა ასოციაცია წარმატებებს გისურვებთ ამ რთულ გზაზე და გწამდეთ, რომ ქართველი ექიმები ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნებით.

და მაინც, ბრინჯაოს მედალი

გიორგი თენაძე

საპატიო კვარცხლბეკზე

27 წლის გორელ ფალავანს გიორგი თენაძეს მრავალი გამარჯვება აქვს მოპოვებული სხვადასხვა რანგის ტურნირებზე. მაგრამ ამ წარმატებათა ნუსხაში მაინც არ მოიძევება ისეთი ჯილდოები, სრულად რომ წარმოაჩენდა მის ნიჭსა და შესაძლებლობებს. ამის გამო, ცოტა არ იყოს უიღბლო მოჭიდავის სახელიც აქვს. სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა, ბელგრადში, მსოფლიო ჩემპიონატშიც მოიპოვა ჯილდო, ოღონდ ისიც ბრინჯაოს მედალი იყო.

საერთოდ, ასეთი წარმატება საპატიოა ნებისმიერი კლასის ათლეტისათვის და გულდასაწყვეტი თითქოს არაფერი უნდა იყოს, მაგრამ... ბოლო წლებში უმნიშვნელოვანეს ტურნირებზე გიას როგორღაც მუდამ სახელოვანი ფრანგი ძიუდოისტი მარკ ალექსანდერი ეღობებოდა, მასთან დამარცხდა სეულშიც და ევროპის წლევანდელ ჩემპიონატშიც. უკვე იყო დრო ეს ნავსი გატეხილიყო და გატყდა კიდეც, — თენაძემ სძლია ალექსანდერს, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, უკვე ფინალში კი არა, მესამე ადგილისათვის გამართულ ბრძოლაში იყო, სადაც გორელ ფალავანს ხვდა წარმატება.

ფინალში კი გავიდნენ მსოფლიოს ადრინდელი ჩემპიონი, ამერიკელი მაიკლ სვეინი და იაპონელი ტოშიხიკო კოგა. ორივეს კარგად იცნობს თბილისელი მაყურებელი, სწორედ აქ, თბილისის საერთაშორისო ტურნირში თენაძემ ბრწყინვალე ილეთით დაამარცხა სვეინი, ხოლო კოგა სხვა რანგის ტურნირზე — მსოფლიო უნივერსიადაზე გამოსასვლელად ეწვია საქართველოს. ალბათ ყველას დაამახსოვრდა ეს ცეცხლოვანი სწრაფი, შესანიშნავი მოჭიდავე. ბელგრადში კოგასა და სვეინის გადამწყვეტი შერკინება იაპონელის უდავო გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც თავის გუნდს მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

გია თენაძემ (ასკ) ბელგრადშიც ღირსეულად დაიცვა ჩვენი ძიუდოისტების მაღალი რეპუტაცია. იმედით დაველოდებით ამირან ტოტიკაშვილისა და აკაკი კიბორძალიძის გამოსვლასაც.

71 კგ. 1 ტოშიხიკო კოგა (იაპონია); 2. მაიკლ სვეინი (აშშ); 3.



გიორგი თენაძე (სსრკ) და ჩანგ სუელი (სამხრეთ კორეა).

სურათზე: გიორგი თენაძე.



დინამოელები — მეორე ადგილზე

ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით გაემგზავრა დინამოელთა საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ძიუდოისტთა გუნდი. მისი საუკეთესო სპორტსმენები, ჰიდაობის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი ფალავნები აკაკი კიბორძალიძე, დავით ხახალეიშვილი, ვლადიმერ დგებუაძე, დავით ბაგაური, მაკარ თვალაძე, ვასილ ომარაშვილი საპატიო მიზეზით აკლდნენ შეჯიბრებს: ა. კიბორძალიძე ამჟამად ბელგრადში, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს, ზოგი კი საკავშირო საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, სადაც უნდა დაკომპლექტდეს ნაკრები ევროპის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

მაგრამ ქალაქ ძერჟინსკში, სადაც აღნიშნული ჩემპიონატი გაიმართა, არც ჩვენმა ახალგაზრდა მოჭიდავეებმა შეირცხვინეს თავი, მთლიანად კი გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვა რსფსრ-ის ნაკრების შემდეგ.

პირდაპირ ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა ორთაბრძოლა ზესტაფონელმა გიორგი გაჩიჩილაძემ, რომელიც ჩემპიონი გახდა 86 კგ წონით კატეგორიაში. იგი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და, როგორც ხედავთ, გაცილებით უფროს მეტოქეებსაც კი გადაუწურა გამარჯვების იმედი. მძიმე წონაში პირველი ადგილი დაიკავა გამოცდილმა ქუთაისელმა მოჭიდავემ, ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ავთანდილ გუბელაძემ. ახალგაზრდა ვეფხვია კაპანაძე (95 კგ) მეორე ადგილზე გავიდა.

შეჯიბრების შემდეგ შეირჩა „დინამოს“ საკავშირო ნაკრები, რომელიც 1990 წლის იანვარში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ჩემპიონატში. ამ გუნდში 12 ქართველი ძიუდოისტი მოხვდა.

* * *

სურათებზე: გიორგი გაჩიჩილაძე (მარცხნივ) და ავთანდილ გუბელაძე.

მეორე მატჩი გადაიდო

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ალმა-ათა. ადგილობრივმა არმიელებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს ქვეყნის ჩემპიონს კიევის „ბუდიველნიკს“. ბრძოლის ბედი ამ მატჩში ფაქტიურად პირველსავე ტაიმში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა ოცქულიანი უპირატესობით დაამთავრეს — 68:48. მეორე ნახევარში ასკ-მ კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა და საბოლოოდ გაიმარჯვა ანგარიშით 139:105.

მოსკოვი. განმეორებითი შეხვედრაც წაიგო კაუნასის „უალგირისმა“ აქ, ადგილობრივ „დინამოსთან“. პირველი ოცი წუთი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა — 39:39. მაგრამ შესვენების შემდეგ უფრო აქტიურად დინამოელები თამაშობდნენ და შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 91:76.

ლენინგრადი. „სპარტაკისა“ და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა პირველი შეხვედრა სტუმრების უპირატესობით აღინიშნა — 85:76 (42:34).

თბილისი. ადგილობრივი დინამოელების მეორე შეხვედრა ცსკასთან გადატანილია და მოგვიანებით გაიმართება.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის.

„კალევი“ (ტალ.)	8	7	1	15
ცსკა	7	6	1	13
ვეფ (რიგა)	8	5	3	13
ასკ (ალმა-ათა)	8	5	3	13
„დინამო“ (მ.)	8	5	3	13
„ბუდიველნიკი“ (კ.)	8	4	4	12
„შახტიორი“ (დონ.)	8	3	5	11
„უალგირისი“ (კაუნ.)	8	3	5	11
რტი (მინსკი)	7	3	4	10
„სტატიბა“ (ვილნ.)	8	2	6	10
„სპარტაკი“ (ლენ.)	7	2	5	9
„დინამო“ (თბ.)	7	1	6	8

დავით ალმაშენებელი — დავით ალმაშენებელთან

თბილისის, ქუთაისის, ვანისა და გორის ტურისტული კლუბების წარმომადგენლებმა, ამას წინათ, ყაზბეგის რაიონში ჭაუხების მასივზე დალაშქრეს მწვერვალები „ექვთიმე თაყაიშვილი“ და „გურამ თიკანაძე“, ბოლოს კი გადაიარეს ერთი უღელტეხილი, რომელსაც „დავით ალმაშენებელი“ უწოდეს.

ეს უღელტეხილი დაახლოებით 2800 მეტრ სიმაღლეზე, მწვერვალ „დავით ალმაშენებლის“ გვერდით მდებარეობს.

მს საოცარი ნინო სალუქვაძე

ელვა-ინფორმაცია

ვინ იცის მერამდენედ, კვლავ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა ნინო სალუქვაძემ ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ტურნირზე, მიუნჰენში. 19 წლის თბილისელი სნაიპერი უძლიერესი იყო როგორც ტყვიის სროლაში (მპ-5) — 684,9 ქულა, ისე პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობაში (პპ-2) —484,9.

კონფედერაციის კონგრესის შესახვედრად

გუშინ გაუწყეთ რომ, როგორც ცნობილი გახდა, კეტბურთის ევროპის კონფედერაციის კონგრესი ჩატარდება თბილისში 1990 წლის თებერვლის პირველ ნახევარში.

გუშინვე თბილისში კეტბურთის ევროპის კონფედერაციის ვიცეპრეზიდენტის რ. გოგლიძის ხელმძღვანელობით შეიკრიბა ამ ღონისძიების ჩატარების საორგანიზაციო ჯგუფი, რომელმაც განიხილა მზადების პირველი ეტაპის საკითხები, ყოველმხრივ გაანალიზდა ამ მეტად ავტორიტეტული თავყრილობის მნიშვნელობა. ითქვა, რომ საქართველოში ასეთი მასშტაბის საერთაშორისო ხელმძღვანელი სპორტული ორგანოს ფორუმი ჯერ არ ჩატარებული. ეს ფაქტი კი მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს ყველას, მით უმეტეს ახლა, როცა შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

მოედანს დაუბრუნდა

სპორტი ჟურნალისტი
თანამგზავრი

უკანასკნელ ხანს ალექსანდრე მეტრეველის სახელი კვლავ გაჩნდა საზღვარგარეთის სპორტული პრესის ფურცლებზე. ჩვენი განთქმული ჩოგბურთელი წლევანდელ ზაფხულში უკვე გამოდიოდა ოკეანის გაღმა ვეტერანთა ტურნირებში. რამდენიმე დღის წინ კი, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მორიგი ტურნედან დაბრუნების შემდეგ, მან შთაბეჭდილებანი გაუზიარა საინფორმის კორესპონდენტს.

— წინადადება მივიღე კანადის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორებისაგან მონრეალიდან, — თქვა ა. მეტრეველმა. — ეს ავტორიტეტიანი ასპარეზობა ტრადიციულად ხდება „ჩოგბურთის ფესტივალის“ კულმინაცია, რომელიც აქ ყოველწლიურად ეწყობა. როგორც წესი, ძირითად ტურნირს წინ უძღვის ჩვენი სახეობის სპორტის ქომაგთა მასობრივი ასპარეზობანი. მონაწილეთა ასაკი შეზღუდული არ არის, ფესტივალის პროგრამაში კი განსაკუთრებული ადგილი ეთმობა წარსულში ცნობილ ოსტატთა ტურნირებს, რომლებიც სამ ასაკობრივ ჯგუფში ეწყობა: 35 წელზე მეტი, 45 და 55 წლები.

ორგანიზატორები არ ძუნწობენ, იწვევენ ყოფილ ჩოგბურთელ „ვარსკვლავებს“. ამჯერადაც განთქმული „ფლუშ მედოუს“ კორტებზე მაყურებლები შეხვდნენ ბევრ განთქმულ სპორტსმენს. საკმარისია დავასახელოთ ამერიკელები სტენ სმიტი, პანჩო გონზალესი და მარტი რისენი, ავსტრალიელები როდ ლეივერი და როი ემერსონი, რუმინელი ილიე ნასტასე და სხვები.

— რა თქმა უნდა, ვეტერანთა ასპარეზობებს საჩვენებელი, პროპაგანდისტული ხასიათი აქვთ, — თქვა შემდეგ ა. მეტრეველმა. — წმინდა სპორტული მხარე ამ დროს, თითქოსდა უკანა პლანზე დგება. არ არის მკაცრი შეზღუდვები ტურნირის რეგლამენტში. მაგალითად, თუ მონაწილე დაიღალა, რაც ასაკის გამო ეს გარდუვალია ან შეუძლოთ იგრძნო თავი, მის ნაცვლად სხვას შეუძლია გააგრძელოს თამაში. და საერთოდ, ფესტივალზე მოფიქრებულია „ყველა „წვრილმანი“ იმისათვის, რომ მოთამაშეებსაც და ქომაგებსაც ყველა პირობა ჰქონდეთ შექმნილი.

საგულისხმოა, რომ ჩოგბურთის ყოველ მოყვარულს შეუძლია აქ თავად გამოვიდეს კორტზე და ეთამაშოს რამდენიმე პარტია ყოველ „ვარსკვლავს“. განთქმული ოსტატები კი თავის მხრივ ხალისით აწყობენ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას არა მარტო ადგილობრივი საჩოგბურთო კლუბების წევრებთან, არამედ ყველა მსურველთანაც. ესეც გათვალისწინებულია მასობრივი ფესტივალის პროგრამით, რომელსაც ფართო რეკლამას უწევენ. იგი დიდ აუდიტორიას იკრებს, კარგი პრესაც აქვს. ყოველივე ამან არ შეიძლება არ შექმნას საზეიმო ატმოსფერო.

ამჯერად პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა ილიე ნასტასემ. — მეტრეველმა გამართა რამდენიმე შეხვედრა და საჩვენებელი თამაში. სხვათა შორის, წყვილთა თანრიგში. იგი გამოდიოდა განთქმულ როდ ლეივერთან ერთად, რომელთანაც საუკეთესო წლებში მას მხოლოდ მეტოქეობა უწევდა. სამწუხაროდ, ჩვენს ჩოგბურთელს ძველმა ტრავმამ არ მისცა საშუალება მთელი ძალით ეთამაშა. ამან გავლენა მოახდინა მის გამოსვლაზეც ვეტერანთა შორის ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში.

— წინადადება, მეთამაშა ნიუიორკში ამ პოპულარულ ტურნირში, ჩემთვის მოულოდნელი იყო, — თქვა ალექსანდრემ. —თანაც შერეულ თანრიგში, ოლგა მოროზოვასთან ერთად, ჩვენ ხომ ტანდემში აღარ გამოვსულვართ უკვე მრავალი წელია. იმ დროიდან, რაც ძველი „ვარსკვლავები“ ვარჯიშობენ და რეგულარულად თამაშობენ, სავარჯიშოდ დრო ცოტა გვქონდა. ამიტომაც წავაგეთ პირველ წრეში ერთ-ერთ კარგად შეთამაშებულ წყვილთან.

—ნიუ-იორკში მამასთან ერთად სტუმრად იყო უმცროსი მეტრეველი — 22 წლის ირაკლიც, წარსულში საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრების წევრი, ახლა კი საქართველოს უცხო ენათა ინსტიტუტის მესამეკურსელი. იგი მონაწილეობდა ორ სტუდენტურ ტურნირში ქალაქებში კინგს-პორტსი (ტენესის შტატი) და სანსბერიში (მერილენდის შტატი). თავისი თამაშით ადგილობრივ სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და მიიღო წინადადება, განაგრძოს სწავლა ვესტტენესის უნივერსიტეტში. ამასთან ითამაშოს მის ჩოგბურთელთა გუნდში. ამ უნივერსიტეტის ასპირანტურაში სასწავლებლად მიწვეულია ირაკლის ცოლიც — ნინო.

— ახლა მსოფლიო ჩოგბურთის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს შორის განხეთქილებაა, — თქვა ალექსანდრე მეტრეველმა. — პროფესიონალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ფედერაცია და ასოციაცია ვერ შეთანხმდნენ მთელ რიგ პრობლემებზე, რაც მოგვაგონებს საერთაშორისო საშადრაკო ფედერაციისა და დიდოსტატთა ასოციაციის კონფლიქტს. პროფესიონალი ჩოგბურთელები იღვწიან დამოუკიდებლობისათვის, სურთ, თვითონ მოაწყონ თავიანთი ტურნირები, მათ შორის „დიდი ჩაფხუტისა“ და „გრან-პრის“ ასპარეზობა. მათი ასოციაცია ესწრაფვის აგრეთვე ოფიციალური სტატუსი მიანიჭოს ვეტერანთა ტურნირებსაც, უკვე გაისიდან 35 წელზე მეტი ხნის ჩოგბურთელებისათვის მოაწყოს მსოფლიო ჩემპიონატები, რაც სავსებით რეალურად გამოიყურება. სხვათა შორის, ფლორიდაში ახლახან გაიხსნა ახალი საჩოგბურთო ცენტრის პირველი რიგი. ეს ცენტრი ასოციაციას ეკუთვნის. ამ კომპლექსში შევიდა ყველა სახეობის კორტები — „რბილი“ და „ხისტი“, ბალახიანი და ქვიშიანი, ყველა საჭირო სამსახური სრულფასოვანი წვრთნისა და რეაბილიტაციისათვის. ყველა სამუშაოს დამთავრების შემდეგ ცენტრი თავის მფლობელებს 6 მილიონ 600 ათასი დოლარი დაუჯდება.

ისევ დამრჩენია დავუმატო, რომ ჩვენმა სახელგანთქმულმა თანამემამულემ მიიღო მიწვევა უფროსი თაობის ჩოგბურთელთა ოფიციალურ შეჯიბრებებში, რომლებსაც პროფესიონალთა ასოციაცია აწყობს. ჯერჯერობით კი ალექსანდრემ საბოლოოდ უნდა მოიშუშოს ნატკენი მუხლი და დაიბრუნოს კარგი სპორტული ფორმა.

შ. ზალოლაშვილი,
საქინფორმის კორ.

როცა მოქმე ხოფხეთს უჯირდა...

ეს ჯილდო ყველას თანადგომის სიმბოლოა

ილია წიკლაური ჩვენი ძველი ნაცნობია — ამ 4-5 წლის წინათ მის გვარს ხშირად შეხვდებოდით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ნიჭიერი, იმედის მომცემი ჭაბუკი მძლეოსნის წარმატებებმა იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტებისა და სპორტული ჟურნალისტების ყურადღება. 1984 წელს მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებული ბადროს მტყორცნელი ჭაბუკთა საკავშირო თამაშებისთვის სამ-



ი. წიკლაური

ზადისს შეუდგა. თანატოლთა შორის რესპუბლიკაში უძლიერესი ზომ იყო, რესპუბლიკურ თამაშებშიც დაამტკიცა და მაშინ, როცა ფიქრით უკვე საკავშირო ასპარეზობაზე იყო — ჭაბუკთა საკავშირო თამაშების დაწყებამდე ორი დღეღა რჩებოდა — ბედმა უმუხთლა, ბრმა შემთხვევამ ხელი დაუზიანა და საკმაო ხნით ჩამოაშორა მძლეოსნურ სარბიელს. გამოჯანმრთელებული, რა თქმა უნდა, კვლავ დაუბრუნდა სატყორცნ სექტორს. ფიზკულტურის ინსტიტუტშიც ჩაბარა მწვრთნელთა ფაკულტეტზე. ამჟამად მომავალი შეჯიბრებებისთვისაც გულმოდგინედ ემზადება — 22 წლის ახალგაზრდას ჯერ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა. უეიბლობის გამო გაცდენილ ასპარეზობებს კი ახლაც გულისტკივილით იხსენებს. ვინ არ მიუხვდება მიზეზს — გამოტოვებული შეჯიბრებები მისთვის დაკარგული მედლების ტოლფასია, მას კი ყველა უფლება აქვს ასე იფიქროს. თუმცა სულ ახლახან მან ისეთი ჯილდო მიიღო, ბევრი სახელოვანი სპორტსმენის მედლების კოლექციაშიც რომ ვერ იხილავთ.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ილია წიკლაური დაჯილდოვდა სამშობლოს საპატიო ორდენით. ეს ორდენი მას მიწისძვრით დაზარალებულ სომეხ თანამოძმეთა დახმარებისთვის მიენიჭა.

— მე ახლა ძალიან კარგად მესმის მათი, ვინც საპატიო ორდენითა თუ მედლით დაჯილდოებისას ამბობს — ეს ჯილდო მარტო მე კი არა, ყველა ჩემს თანამოაზრეს, თანამებრძოლს თუ თანამშრომელს ეკუთვნის. ეს საპატიო ორდენი, რომელიც მე გადმომეცა, ნამდვილად ეკუთვნის ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმის ყველა წევრს, საქართველოდან მეზობელთა საშველად წასულ ყველა ახალგაზრდას. ვიცოდით, მძიმე იქნებოდა, ბაგრამ არავინ დაფიქრებულა, არავის უპოჭმანია სპიტაკში წასვლაზე. უნდა გვეჩქარა, მიგვესწრო, გადაგვერჩინა ვისი შვილაც შეიძლებოდა — მხოლოდ ეს გვაფიქრებდა და თავი არც დაგვიზოგია. ჩვენმა რაზმმა ნანგრევებში მოყოლილი ხუთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. საუკუნოვანი მეზობლობის ყადრი, ნამუსი და კაცთმოყვარეობა ამოძრავებდა ყველა ჩვენგანს, ანიჭებდა მანამდე არნახული ტრაგედიის გასაძლის ძალას. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმის წევრები ერთ რამეშიც უთქმელად შეთანხმებულნი ვიყავით — გვწამდა, რომ გასაჭირში ჩავარდნილთა შველა სპორტსმენების, ღვთისგან ძალანაბოძები ხალხის უპირველესი ვალია. თუმცა სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ იქ მყოფი ყველა ქართველი სტუდენტი ამასვე ფიქრობდა და ასევე ირჯებოდა — ამის თქმის უფლებას მაძლევს უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო და სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტთა სიმტკიცის ხილვა.

გასანგრძლივებულ სეზონზე...

თბილისში ბოლო დღეებში შესანიშნავი საასპარეზო დარი იდგა. ამ პერიოდის გამოუყენებლობა საყოფიერი ვარჯიშისა თუ პირადი შედეგების გასაზრდელად შეიძლება მფლანგველობადაც კი ჩაითვალოს. ადრე უკვე ვწერდით, რომ ასეთი ხელსაყრელი პერიოდისათვის ნაკლებად იგეგმება მძლეოსანთა შეჯიბრებები, რითაც ხელოვნურად მეტისმეტად მოკლდება სპორტული სეზონი.

იმ წერილის შემდეგ („არასასურველი მსგავსება“, „ლელოს“ 4 ოქტომბრის ნომერში), როგორც შევიტყვეთ, დიდი კამათი ატეხილა მწვრთნელთა შორის საშემოდგომო ტურნირების აუცილებლობაზე. მაგრამ ორიოდე დღის წინ ჩატარდა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის ღია პირველობა და სავარაუდოა, რომ ოპონენტებიდან ბევრმა აზრი შეიცვალა. იდილიურს არ ვიტყვით, მაგრამ ასპარეზობისას, თითქოს საგანგებოდ, ისეთი მშვენიერი ამინდი იყო, უკეთესს ვერ ინატრებდი. მონაწილეებიც ხალისით ასპარეზობდნენ და რამდენიმემ მართლაც კარგი შედეგი აჩვენა. მაგალითად, იოსებ შავერდაშვილმა ურო 75,38 მეტრზე ტყორცნა და საგრძნობლად გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმატივს. პირველად დაიმსახურა ეს წოდება ვლადიმერ მინაკოვმა, რომელმაც 217 სმ სიმაღლე დასძლია...

სპორტსკოლის ღია პირველობაში სულ 250-მდე მძლეოსანმა მიიღო მონაწილეობა, 100 სპორტსმენი სტუმარი იყო, მათ შორის 16 მძლეოსანი პოლონეთიდან, კერძოდ, ქალაქ პოზნანიდან, რომლებიც ჩვენმა პროფკავშირულმა სკოლამ მოიწვია საკუთარ ტურნირზე. მალე მასპინძლები საპასუხო ვიზიტით პოლონეთს გაემგზავრებიან.

გვინდა ერთ ღირსშესანიშნავ ფაქტზეც გიამბოთ: შეხვედრის მონაწილეებმა, მწვრთნელებმა, მსაჯებმა, მოკლედ — ყველამ საზეიმოდ მიუღოცა დაბადებიდან 80 წელი საქართველოს მძლეოსნობის ღვაწლმოსილ მუშაკს კონსტანტინ მალიშკოვს. ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის საპატიო მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი... მისი ყველა ეს წოდება პატიოსანი, დაუღალავი შრომის ჯილდოა, კ. მალიშკოვი ახლაც არ წყვეტს ნაყოფიერ საქმიანობას, არის რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე. იუბილარს მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს მძლეოსნობის სასწავლო-მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელებმა და შეჯიბრების ორგანიზატორებმაც.



და ბოლოს, გაცნობებთ კიდევ რამდენიმე მონაწილის შედეგს: შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა ამბროსი მატიაშვილმა — 68,40 მ, 400 მეტრზე რბენაში — ლენინგრადელმა ალექსი ევდოკიმოვმა — 50,3, ამავე დისტანციაზე თარჯრბენში — რიგელმა ბეატა ჟარსკამ — 1.00,2. პოლონელებიდან თავი გამოიჩინა ბეატა ტადერამ, რომელიც უძლიერესი იყო 200 მეტრზე რბენაში — 25,9, თბილისელი დიმიტრი ჩუკანოვი სიგრძეზე ხტომაში პირველობდა — 722 სმ.

სურათებზე: საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი ედუარდ ლომთაძე სამახსოვრო საჩუქარს გადასცემს იუბილარს, კონსტანტინ მალიშკოვს; სამხტომი ახლა ქალთა შეჯიბრების პროგრამაშიც არის.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ყურადღება: სიყალბე!

„სოვეტსკი სპორტის“ კრასნოიარსკის საკორესპონდენტო პუნქტს სიმართლის აღსადგენად მიაკითხეს კეტბურთელთა ადგილობრივი გუნდის „სიბირიაკის“ წევრებმა. ისინი ახალი ჩამოსულები იყვნენ ილიჩევსკიდან (ოდესის ოლქი), სადაც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის მომავალი წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

მღელვარების საბაბი გახლდათ სიყალბე, რომელმაც თავი იჩინა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდში, რომლის შემადგენლობაშიც აღმოაჩინეს ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მოთამაშე. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ე. ისიანოვმა ამჯობინა თვალი დაეხუჭა ამ უმსგავსობაზე. მას არც ოთხი მონაწილე გუნდის მწვრთნელთა კოლექტიურ პროტესტზე მოუხდენია ზეგავლენა.

ისიანოვის უმოქმედობამ, ბუნებრივია, აღაშფოთა სპორტსმენები. მოსკოვში გაიგზავნა დეპეშა, რომელითაც ითხოვდნენ ზეგავლენა მოახდინათ მთავარ მსაჯზე. სამწუხაროდ... არსაიდან ხმა... ამან კიდევ უფრო გააძწვავა მდგომარეობა.

საბოლოოდ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა სამი მატჩი წააგო და ვერ მიაღწია მიზანს. მაგრამ მღელვარება არ ცხრება. სპორტსმენებს სურთ იცოდნენ: როგორ შეიძლება შეფასდეს შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოქმედება, თუ მას წესრიგის, პატიოსნებისა და ობიექტურობის პრიზმით განვიხილავთ? და მთავარი: ვინ აგებს პასუხს ამ სიყალბეზე?

ვიმედოვნებთ, სსრ კავშირის სპორტსახკომის საათამაშო სახეობათა სამმართველო, კეტბურთის საკავშირო ფედერაცია, და ბოლოს სპორტულ-ტექნიკური კომისია გაარკვევენ, რა მოხდა ილიჩევსკში.

ა. კასატკინი.

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“
14 ოქტომბერი. 1989 წ.
კრასნოიარსკი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელებს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდათ მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“, თამაშის შედეგზე დიდად დამოკიდებული იყო აუტსაიდერთა ჯგუფში მყოფი ამ ორი გუნდის მდგომარეობა. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 2:1.

გუშინვე დუშანბეში ერთმანეთს შეხვდნენ „პამირი“ და „ლენინგრადის „ზენიტი“, ასევე აუტსაიდერთა შორის მყოფი გუნდები. გაიმარჯვა „პამირმა“ — 2:0.

13 ოქტომბრის მატჩი ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის მოიგეს ვილნიუსელმა ფეხბურთელებმა — 3:0.

გათამაშების ცხრილი

კრიტიკული შემადგენლობანი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	28	16	10	2	46-16	42
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	28	17	5	6	43-24	39
„დინამო“ (კიევი)	28	13	11	4	41-23	37
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	28	12	8	7	36-25	34
„ტორპედო“ (მოსკოვი)	28	10	12	6	33-22	32
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	27	10	9	8	34-32	29
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	28	10	9	9	30-32	29
„დინამო“ (მინსკი)	28	10	7	11	31-30	27
„დინამო“ (მოსკოვი)	28	7	12	9	29-26	26
„არარატი“ (ერევანი)	28	8	8	12	25-37	24
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	27	7	9	11	25-33	23
„პამირი“ (დუშანბე)	28	7	9	12	20-37	23
„დინამო“ (თბილისი)	28	5	12	11	22-29	22
„შახტიორი“ (დონეცკი)	28	8	5	15	21-33	21
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	28	5	9	14	17-32	19
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	28	5	9	14	21-43	19

I ლიგა

გუშინ შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 39-ე ტურის შეხვედრები.

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო ორჯონიკიძის „სპარტაკი“ და დაამარცხა იგი ანგარიშით — 1:0.

ქუთაისის ტორპედოელებმა მოსკოვში ითამაშეს ცსკა-სთან. თამაშის შედეგია 8:1 არმიელთა სასარგებლოდ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

რომი. იტალიის სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელის დიდ საფეხბურთო ზეიმს, რომელიც დღეს უნდა გაიმართოს ბოლონიაში: აქ ერთმანეთს შეხვდებიან იტალიისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. იტალიის ნაკრების მწვრთნელი ა. ვიჩინი, ეტყობა, აღარ აპირებს ახალბედა ფეხბურთელთა მიწვევას, მაგრამ გუნდის შემადგენლობაში მას შეყვანილი ჰყავს 25 წლის ვიალი. ეს ფეხბურთელი სულ ახლახან დაშავდა. სადღეისოდ იგი ლიგის საუკეთესო ბომბარდირია, 8 ტურში 5 ბურთი გაიტანა. რაც შეეხება ბრაზილიელებს, თავიანთ შემადგენლობაში მათ ჰყავთ ჟოსიმარი, ალემაო, კარეკა, მიულერი, ტაფარელი და სხვანი.

მილანი. იტალიის ამ კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელი რ. გულიტი კიდევ თვენახევარი ვერ გამოვა მინდორზე, ეს კი ნიშნავს, რომ იგი ევროპის ჩემპიონთა თასის ორივე მატჩს გააცდენს მადრიდის „რეალთან“.

რუუდ გულიტმა გაზაფხულზე ორი ოპერაცია გადაიტანა, ახლა მსუბუქ წვრთნას შეუდგა, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ვენა. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქე ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ავსტრიის „ტიროლი“ ეროვნული ჩემპიონატის მატჩში შეხვდა „რაპიდს“ და ფრედ დაამთავრა თამაში — 2:2. ტიროლელთაგან ბურთები გაიტანეს ვესტერტალერმა და პაკულტმა. „ტიროლი“ ამჟამად „აუსტრიასთან“ ერთად ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერია — 23 ქულა 15 თამაშიდან.

მადრიდი. წლევანდელ სეზონში პირველად დამარცხდა მადრიდის „რეალი“. ამ კლუბის შეხვედრები „ბარსელონასთან“ ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, ამჯერად ბარსელონელები, რომლებსაც იოჰან კრუიფი წვრთნის, აღმავლობის გზაზე არიან და მჭიდროდ მიუახლოვდნენ ლიდერებს. მე-6 ტურში სწორედ მათ სძლიეს „რეალს“ — 3:1. ესპანეთის ჩემპიონატს კი 10 ქულით მადრიდის „ატლეტიკო“ ლიდერობს. ქულით ნაკლები აქვს „სევილიას“. მესამე ადგილზეა „რეალი“ — 8 ქულა.

ბონი. გფრ-ის ჩემპიონატს ლიდერობს „კოლნი“. მას 18 ქულა აქვს და ქულით უსწრებს „ბაიერნს“. „კოლნმა“ მორიგ ტურში მოუგო „ჰომბურგს“ — 1:0. ეს ერთი გატანილი გოლი უვე რანის ანგარიშზეა, „ბაიერნმა“ კი, მართალია, აუგენტალერისა და ტონის გარეშე, ფრედ ითამაშა „კაიზერსლაუტერნთან“ — 0:0.

ჟენევა. შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა ული შტილიკემ ბელგიელებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ განაახლა გუნდის შემადგენლობა. ცნობილია, რომ შვეიცარიელებმა დაკარგეს იტალიაში გამგზავრების ყველა შანსი და ახლა უკვე შეუძლიათ თავიანთ შემადგენლობაში ექსპერიმენტების ჩატარება. „ჩვენ მომავალ გუნდზე ვფიქრობთ, — თქვა შტილიკემ. — და ამიტომ ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა მოვიწვიეთ. მაგალითად, მეკარე შტეფან ჰუბერი, თავდამსხმელი ფილიპ დუგლასი (ორივე — „ლოზანა“) და მცველი როლან ვიდმერი („ნევშატელი“). ისინი სულ 20 წლისანი არიან“.

პარიზი. მომავალ გუნდზე ფიქრით ცხოვრობს მიშელ პლატინი, რომლის გუნდმა ვერ შესძლო 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლა. შოტლანდიელებთან მატჩში პლატინის შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეუცვლია წინა თამაშთან შედარებით. „ჩემი აზრით, სწორად მყავს შერჩეული ნაკრების შემადგენლობა, — განაცხადა პლატინიმ. — ეს გუნდი კრიზისიდან გამოიყვანს ჩვენს ფეხბურთს“.

ჯერჯერობით დაუდგენელი პიები თავს დაესხნენ მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა სალაროს და გაიტაცეს 5.300.000 პესეტი (დაახლოებით 46 ათასი დოლარი).

მკაცრი სასჯელები

ამ დღეებში შედგა საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის საგანგებო სხდომა. იგი საგანგებო იყო იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე კვლავ მოხშირდა წესრიგის დარღვევა, უდისციპლინობა, თავგასული ექსცესები. უწესრიგობის მოთავენი ხშირ შემთხვევაში არიან ფეხბურთელები, გუნდების მწვრთნელები, ხელმძღვანელები და მაყურებლებიც კი. ახლა, როცა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა, ხშირად ხდება უკანონო, დანაშაულებრივი ქმედებანი, ხშირ შემთხვევაში თამაშები არანორმალურ პირობებში მიმდინარეობს.

კერძოდ, ასეთი უმსგავსობა მოხდა მიმდინარე წლის 24 სექტემბერს ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე, როცა ამ რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის გუნდი მასპინძლობდა ხონის „იმერეთს“. მატჩს ემსახურებოდა ქ. ზუგდიდის მსაჯთა კვალიფიციური ბრიგადა ს. კვარაცხელიას ხელმძღვანელობით. თამაში საინტერესოდ წარიმართა და 72-ე წუთზე ანგარიში იყო 1:1. სწორედ ეს 72-ე წუთი აღმოჩნდა საბედისწერო და საქმე მატჩის ჩაშლამდე მივიდა. ერთ-ერთ სათამაშო სიტუაციაში „დვაბზუს“ ფეხბურთელებმა რ. ჭანტურიშვილმა და ბ. ღლონტმა არასწორად მიიჩნიეს მსაჯის გადაწყვეტილება და ანგარიშიც იქვე გაუსწორეს მას: რ. ჭანტურიშვილმა და ბ. ღლონტმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს არბიტრს. უდისციპლინობის ინიციატორებმა აიყოლიეს „დვაბზუს“ გუნდის სხვა ფეხბურთელებიც ზ. ქუტიძე, გ. თოხაძე, კ. ღლონტი, გ. ღლონტი, თ. ღლონტი და განსაკუთრებით დ. გურგენიძე. გუნდის მწვრთნელი თ. მახარაძე და მატჩზე დამსწრე „დვაბზუს“ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, ნაცვლად იმისა, რომ აღიკვეთათ თავიანთი ფეხბურთელების ხულიგნური საქციელი და მსაჯს დახმარებოდნენ, პირიქით, წამქეზებელთა როლში აღმოჩნდნენ და საქმე სერიოზულ სკანდალამდე მიიყვანეს.

სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ „დვაბზუს“ გუნდის ხელმძღვანელები, მაგრამ მათ სიტყვებში თვითკრიტიკისა და მონანიების ნატამალიც არ იყო, ისინი კვლავინდებურად მსაჯებს ადანაშაულებდნენ ყველაფერში, ხულიგან ფეხბურთელებს კი იცავდნენ. „დვაბზუს“ გუნდის ხელმძღვანელების არაობიექტურობა სხდომას ნათლად დაუდასტურეს მატჩის ინსპექტორმა, საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯმა ვ. შავდიამ და თამაშზე დამსწრე რესპუბლიკური სპორტსახკომის ფეხბურთის საგმმართველოს პასუხისმგებელმა მუშაკმა ბ. ქარჩაშაძემ. მათ აღნიშნეს, რომ მსაჯები კვალიფიციურად და ობიექტურად ხელმძღვანელობდნენ თამაშს.

„დვაბზუს“ გუნდში უწესრიგობა წესად იქცა ბოლო 4 წლის მანძილზე. „დვაბზუს“ ფეხბურთელთა კოლექტივს არც საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის 1987 წლის დადგენილებამ უშველა და არც სპორტტექნიკური კომისიის შარშანდელმა გადაწყვეტილებამ, როცა დვაბზუს სტადიონს ორი წლით დისკვალიფიკაცია მიეცა, ზოგიერთ უდისციპლინო ფეხბურთელს კი მკაცრი დისციპლინარული სასჯელი გამოუტანეს. უსიამოვნო პრეცედენტი, როგორც ხედავთ, კვლავ მოხდა.

სპორტტექნიკურმა კომისიამ გაითვალისწინა „დვაბზუს“ გუნდის ფეხბურთელთა უწინდელი დარღვევები და სერიოზული შეფასება მისცა მის ახლანდელ უდისციპლინობას. კოლმეურნეობის **გუნდი მოახსნა რესპუბლიკური გათამაშებიდან, ფეხბურთელებს რ. ჭანტურიშვილს, ბ. ღლონტს და დ. გურგენიძეს ხაერთოდ აეკრძალათ ოფიციალურ საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობა.** სპორტტექნიკური კომისია ამ პუნქტში არ დაეთანხმა ოზურგეთის რაისპორტკომიტეტის, ჩიოფცკაეშირების სპორტსაზოგადოების რაისაბჭოსა და დვაბზუს კოლმეურნეობის სხდომის გადაწყვეტილებას ამ ფეხბურთელთა 1 წლით დისკვალიფიკაციის თაობაზე.

ფეხბურთელებს გ. ღლონტს, ზ. ქუტიძეს 1 წლით პირობით, ხოლო კ. ღლონტს, გ. თოხაძეს და თ. ღლონტს წლის ბოლომდე მიეცათ დისკვალიფიკაცია. რაც შეეხება გუნდის მწვრთნელს მახარაძეს, იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. „დვაბზუს“ ამ მატჩში წაგება ჩაეთვალა, ხოლო ხონის „იმერეთს“ — მოგება. „დვაბზუსთან“ დარჩენილ თამაშებში მეტოქეებს ჩაეთვლებათ გამარჯვებები და მიეკუთვნებათ 2-2 ქულა.

ამავე სხდომაზე განიხილეს წალენჯიხის სტადიონზე მომხდარი სერიოზული ინციდენტის საკითხი. ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „სქური“ და ხამურის „ოვერია“. თამაშის დამთავრების შემდეგ, როცა მსაჯები მინდვრიდან გადიოდნენ, უკმაყოფილო მაყურებლები გადაცვივდნენ სათამაშო მინდორზე, სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყვეს მსაჯი ს. შალამბერიძე. წალენჯიხის სტადიონს ამის გამო 3 კალენდარული მატჩით მიეცა დისკვალიფიკაცია. ხულიგნურად, თავხედურად მოექცა არბიტრს „სქურის“ მწვრთნელი ო. რუხაძე, მას სასტიკი საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით და თუ ო. რუხაძე კვლავ ჩაიდენს უწესრიგობას, მას საერთოდ აეკრძალება მწვრთნელად მუშაობა.

რაიონის ხელმძღვანელობას ეთხოვა მსჯელობის საგნად აქციოს წალენჯიხის სტადიონზე მომხდარი დარღვევა და სათანადო ზომებს მიმართოს სპორტულ ბაზაზე წესრიგის დასამყარებლად.

დაშვებული უდისციპლინობა მოხდა ახმეტის სტადიონზეც, რის გამოც სპორტტექნიკურმა კომისიამ ბაზას ორი თამაშით პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა და გააფრთხილა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები.

დუშეთის „არაგვისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ შეხვედრაში შეჯიბრების დებულების დარღვევისთვის, ფეხბურთელთა და მაყურებელთა უდისციპლინობისთვის, ადგილობრივი გვერდითი მსაჯის არაობიექტურობისთვის მატჩის შედეგი გაუქმდა და დადგინდა თამაშის ხელახალი ჩატარება ნეიტრალურ მინდორზე.

ზუგდიდის რაიონის „დარჩელისა“ და ქობულეთის „ნარინჯის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3, მაგრამ ვინაიდან „დარჩელის“ მწვრთნელმა ამ მატჩში ითამაშა გაუფორმებელი ფეხბურთელი, დებულების შესაბამისად თამაშის შედეგი გაუქმდა, „დარჩელს“ წაგება ჩაეთვალა, ხოლო „ნარინჯს“ — მოგება. „დარჩელის“ მწვრთნელს კ. შელიას გამოუცხადეს სასტიკი საყვედური.

სპორტტექნიკურმა კომისიამ საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდების ხელმძღვანელების ყურადღება გაამახვილა საერთო დისციპლინის განმტკიცების, სპორტულ ბაზებზე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების აუცილებლობაზე. მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმს ეთხოვა მეტი პრინციპულობა გამოიჩინოს კვალიფიციურ მსაჯთა ბრიგადების დანიშვნების საქმეში და აღკვეთოს კალენდარულ მატჩებზე დანიშნული მსაჯების გამოუცხადებლობის შემთხვევები.

რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ეთხოვა სისტემატური კონტროლი დაწესოს საქართველოს პირველობის მატჩებზე, იზრუნოს მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და კვალიფიციური ინსპექტორი-მსაჯების შერჩევაზე.

საპატიო პრიზი კვლავ ლაგოდეხელებს

ლაგოდეხის „ჰერეთმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის გმირის ა. ასტახოვისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირის საპატიო პრიზი ფეხბურთში. შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ შარშანდელი გამარჯვებული ლაგოდეხის „ჰერეთი“, ვოლგოგრადის „როტორის“ მეორე გუნდი, მასპინძლები — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და მოსკოვის ვეტერინარული ინსტიტუტის (მის შემადგენლობაში უცხოელი სტუდენტებიც შედიოდნენ) ნაკრებები და კიევის არმიის სპორტული კლუბის გუნდი, გაიმართა მოსკოვში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხისა და ვოლგოგრადის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ლაგოდეხელებმა — 2:1.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „ჰერეთის“ მეკარე თამაზ პაქსაშვილი, ხოლო ბომბარდირად — ლევან კაკაშვილი, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა. ლაგოდეხის გუნდი ამ ტურნირისათვის მოამზადა მწვრთნელმა რობერტ ბერუაშვილმა.

ოტია ჟორდანია,
საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი ფეხბურთში.

ნარკობიზნესმენის გულუხვი დახმარება

როგორც კოლუმბიის ყოველკვირეული „ელ ტემპო“ იუწყება, ცნობილი ნარკობიზნესმენი ე. წ. „მედელინის კარტელის“ წევრი გონზალო როდრიგეს გაჩა სისტემატურად ეხმარებოდა კოლუმბიის მრავალგზის ჩემპიონის „მილიონარიოსის“ ფეხბურთელებს. ეს კლუბისა და ცალკეული მოთამაშეებისადმი დიდი თანხის გადაცემით გამოიხატებოდა.

იუიდება „მანჩესტერ იუნაიტედი“

ვინ შეიძენს პოპულარულ ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს“? ეს საკითხი ძალზე აწუხებთ ინგლისელ გულშემატკივრებს. საქმე ისაა, რომ კლუბის შესყიდვას 20 მილიონ ფუნტ სტერლინგად აპირებდა ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელსაც მილიონერი მაიკლ ნაიტი ედგა სათავეში, მაგრამ ბოლო წუთში ეს ჯგუფი დაშალა, ხოლო მარტო ნაიტი ამხელა თანხას ვერ გაწვდა.

ამჟამად კლუბის ყველაზე რეალური მყიდველია ლივანელი ბიზნესმენი ამერ მიდანი. „ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა — განუცხადა მიდანიმ ჟურნალისტებს — და თუ კლუბი ჩემი საკუთრება გახდა, მის პრეზიდენტად დაუყოვნებლივ დანიშნება ბობი ჩარლტონი“.

ვნახოთ, გახდება თუ არა ბობი ჩარლტონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეზიდენტი.

მსაჯი მუშტი-კრივზე გადავიდა

იუგოსლავიელი მსაჯი კრივიჩი იმით არის ცნობილი, რომ როცა ფეხბურთელებზე სიტყვით ვეღარ მოქმედებს, მუშტი-კრივზე გადადის ხოლმე. ამას წინათ პირველი ლიგის გუნდების „ჟელეზნიჩარისა“ (სარაევო) და „ცრვენა ზვეზდას“ (ბელგრადი) შეხვედრის დროს. ასეთი ინციდენტი მოხდა: როცა გაფრთხილებით ვერაფერს გახდა, კრივიჩმა ისე გაარტყა მასპინძელთა მოთამაშეს ილიჩს, რომ მას მინდვრის დატოვება მოუხდა. წესრიგის დამცველებმა ძლივს შეაკავეს გულშემატკივრები, რომლებიც მინდორზე გადასვლას და მსაჯთან ანგარიშის გასწორებას ლამობდნენ.

შარშან კრივიჩს კიდევ ერთი უსიამოვნება შეემთხვა ქ. ტუზლაში მატჩის დროს. მან მინდვრის კიდიდან გააძევა მასპინძლების ერთ-ერთი მწვრთნელი, რომელმაც სიტყვიერი გაფრთხილების მიუხედავად კრივიჩისგან ახსნა-განმარტება მოინდომა. მსაჯი არსებითად მართალი იყო, მაგრამ მის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებამ მაყურებლები მაინც აღაშფოთა.

იუგოსლავური პრესა მკაცრად აკრიტიკებს კრივიჩს და მოითხოვს მას სამუდამოდ აუკრძალონ ფეხბურთის მატჩების მსაჯობა.

საშაადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

პირველი შეხვედრა

ჩვენი გაზეთის ამ რუბრიკას ბევრი დაინტერესებული მკითხველი ჰყავს. მათი გარკვეული ნაწილი კი კომპოზიციას მეტ დროს უთმობს — სადამოვნებთ ხსნის შემოთავაზებულ ამოცანებსა და ეტიუდებს. უკვე გამოიკვეთა ამომხსნელების ძლიერი ჯგუფიც, რომელიც სისტემატურად ცდის თავის ძალებს საშადრაკო გონიერების საცდელ ასპარეზზე, საკმაოდ პროფესიულ დონეზე აფასებს გამოქვეყნებული კომპოზიციების თემატურ შინაარსს, ჩანაფიქრის ორიგინალობას ოა სიღრმეს.

საშადრაკო პოეზია საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას“ ფურცლებზე. 1971 წლიდან დღემდე ყოველი თვის ნომერში ერთი სრული გვერდი სპეციალურად ეთმობა „კაისას კლუბს“, რომელიც კომპოზიციის ბევრ საცნობარო თუ შემეცნებითი ხასიათის მასალებთან ერთად რეგულარულად მართავს დაუსწრებელ საახალწლო კონკურსებს საშადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში. წლევანდელი დეკემბრის მე-12 ნომერში გამოქვეყნდება რიგით უკვე XII ასეთი კონკურსის პირობები და ამოსახსნელი მასალები (3 ორსვლიანი, 4 სამსვლიანი, 3 მრავალსვლიანი, 2 ამოცანა ზღაპრული ჰადრაკის სფეროდან და 2 ეტიუდი). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ლელოს“ მკითხველებიც ინტერესით ჩაებმებიან ამ კონკურსში, რომელიც ყოველწლიურად რესპუბლიკის ბევრ გამოცდილ და ახალბედა ამომხსნელს იზიდავს.

მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს ყოველკვირეული გამოშვება „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“, სადაც რუბრიკა „კაისას“ უძღვება ცნობილი თბილისელი კომპოზიტორი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი იური აკობია. მისი თაოსნობით რუბრიკაში შექმნილი ე. წ. „საკონსტრუქტორო ბიურო“ (აკობია პროფესიით ინჟინერია!), რომელიც დამწყებ ავტორთა სკოლას წარმოადგენს, საქართველოს პრობლემისტების ახალი პლეადის ჩამოყალიბების კეთილშობილ მიზნებს ემსახურება.

„კომპოზიცია“ — ასე ეწოდება საშადრაკო დამატება „მერანის“ რუბრიკას, რომლის საქმიანობა ძირითადად საქართველოს საშადრაკო კომპოზიტორების ორიგინალური ნაწარმოებების გამოქვეყნებითა და მათი საკონკურსო წარმატებების მიმოხილვით იფარგლება, ამ რუბრიკას მასალების მეტი მრავალფეროვნება სჭირდება, რაც ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი პრობლემისტების და ეტიუდისტების ძალისხმევითა და აქტიური თანამშრომლობით უნდა მოხდეს.

ქების ღირსია ცნობილი რუსთაველი პრობლემისტი გივი მოსიაშვილი, რომელმაც გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ ფურცლებზე კარგი საკომპოზიციო განყოფილება შექმნა და როგორც ამოხსნის, ისე შედგენის საინტერესო კონკურსებიც ჩაატარა. მისი შრომა უკვე კარგ ნაყოფს იღებს — რუსთავში საშადრაკო პოეზიის ბევრი მოყვარული გაჩნდა და მალე მათ ფართო ასპარეზზე გამოსვლას უნდა ველოდოთ.

საშადრაკო კომპოზიციით დაინტერესებულ პირთა თანამშრომლობის, ამ საქმის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მეტად სასარგებლო ფორმაა კომპოზიტორთა და კომპოზიციის გულშემატკივართა შეხვედრა, რომელსაც ადრე ჩვენთან სისტემატური და მოწესრიგებული სახე არ ჰქონია. საშადრაკო კომპოზიციის რესპუბლიკურმა კომისიამ გადაწყვიტა რეგულარულად მოაწყოს ასეთი შეხვედრები თბილისის ჰადრაკის სასახლეში. პირველი ასეთი შეხვედრა, რომელზედაც გათვალისწინებულია სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება (ლექცია, წამყვან კომპოზიტორთა გამოსვლები, კონსულტაციები დამწყებ ავტორებთან, ამოხსნების დასწრებული ბლიცკონკურსი და სხვ.) დაგეგმილია ამ თვის უკანასკნელ შაბათს (28 ოქტომბერს) დილის 11 საათზე. კომისია და შეხვედრის ორგანიზატორი — ცნობილი ეტიუდისტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ელგუჯა კვეზარელი იმედს გამოთქვამენ, რომ შეხვედრის მონაწილეთა შორის მხოლოდ თბილისელები არ იქნებიან.

ველით თქვენთან შეხვედრას ძვირფასო მეგობრებო და ამოსახსნელად გთავაზობთ ამ მომავალი ფორუმის მონაწილის, რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ამომხსნელის, ცნობილი საშადრაკო კომპოზიტორის რევაზ თავარიანის ეტიუდს, რომელმაც საერთაშორისო კონკურსზე „ი. ჭავჭავაძე-150“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

რ. თავარიანი, 1989



მოგება

ამოხსნა

„ლელოს“ 1 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი ა. დალის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1 მფe5! ცუგცვანგი. 1 ...h6 2.მფf4, 1 ...h5 ლf2.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: ნაირა ხელაშვილი (ვაქირი, სიღნაღის რ.) მ. ყოჩიაშვილი (რუსთავი), გ. ჭკადუა (სოხუმი), ნ. და რ. კახიძეები (ბათუმი), ა. მიშველაძე, ვ. შავგულიძე, ვ. ტაბლიაშკილი, გ. ფანცხავა, თ. სოსელია (ყველანი თბილისი).

ასკო

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საერთაშორისო ბანკი

თბილისის ფილიალი

● ასკო — ნდობის ახალი ხარისხი,

● ასკო — დაზღვევის საერთაშორისო დონე

„ჩვენ უჩინარნი ვართ, ვიდრე ყველაფერი რიგზეა და არასდროს ვიგვიანებთ გაჭირვების ჟამს“ — ასეთია ახალი საქციონერო სადაზღვევო კოოპერატიული საზოგადოების დევიზი.

ასკო სადაზღვევო მომსახურების ახალი დონეა, რომელიც მიღებულია ყველა განვითარებულ ქვეყანაში — მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და კომერციული რისკის დაზღვევიდან შინაური ცხოველების დაზღვევამდე.

ასკო ოპერატიულობაა — მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის ვადა 72 საათი.

ასკო კლიენტის დასახმარებლად გაწვდილი ხელია: საზოგადოება გაიზიარებს კლიენტის რისკის ყოველგვარ ხარისხს.

დაზღვევის საგანი თვითონ შეგიძლიათ შესთავაზოთ.

ასკო რეალურობაა: საზოგადოება ზარალს ანალიზაურებს რეალური, ბაზრის ფასების მიხედვით, ითვალისწინებს ინფლაციის დონეს.

ასკო საიმედობა და სტაბილურობაა: ჩვენ დავიწყეთ 1 000 000 მანეთით. მაგრამ მუშაობის დინამიური და მოქნილი სტილის წყალობით საზოგადოების აქტივები დღითიდღე იზრდება.

საქციონერო სადაზღვევო კოოპერატიული საზოგადოების ამერიკაკავკასიის ბიურო გთავაზობთ გაფორმოთ:

კოოპერატივების დაზღვევა;
მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა;
კომერციული რისკის დაზღვევა;
ავტომანქანების დაზღვევა;
გამოთვლითი სისტემებისა და მანქანური ინფორმაციის დაზღვევა;
სიცოცხლის დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან.

დარეკეთ ტელეფონით — 99-00-25.

მისამართი — რუსთაველის პრ. 27, მე-3 სართული.

გახდით ჩვენი კლიენტი!

ჩვენი თანამშრომლობის საფუძველია ურთიერთნდობა!

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“.
საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

ერთიანეულ

რუბრიკა ბ. ბაჩიშვილი



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 64 წლის ასაკში, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომუშავე მეცნიერთა და პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა რ. ტატიშვილი, რომელიც 1961 წლიდან აქტიურად იყო ჩაბმული როგორც სპორტსმენთა წვრთნის, ისე სტუდენტთა აღზრდის სამსახურში.

1948 წელს დაამთავრა ლენინგრადის წითელდროშოვანი სამხედრო-ფიზკულტურული ინსტიტუტი, 1965 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1961-1967 წლებში რ. ტატიშვილი მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებლად, შემდეგ — 1967 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში — ძალოსნობის კათედრის უფროს მასწავლებლად, კათედრის გამგედ, პროორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში. აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მიენიჭა დოცენტის წოდება. სასწავლო-სპორტულ მუშაობასთან ერთად იგი ნაყოფიერად მუშაობდა ძალოსნური სპორტის მეცნიერულ-მეთოდური უზრუნველყოფისათვის, გამოაქვეყნა 80-ზე მეტი ნაშრომი.

რ. ტატიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული აგრეთვე საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, იყო რესპუბლიკის ძალოსნობის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, მინდობილი ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

უაღრესად პატიოსანი, მომთხოვნი, პრინციპული პედაგოგის, მწვრთნელისა და მოქალაქის რ. ტატიშვილის ხსოვნა მარად იცოცხლებს მის აღზრდილებსა და კოლეგებში.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.
საქართველოს სსრ ძალოსნობის ფედერაცია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲘ... ᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲘ

ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ მოყვარულებმა უკვე იციან, რომ პორტუგალიის „გრან პრის“ გათამაშებისას, „უშტორილის“ ტრასაზე, რბოლის წესები დაარღვია ინგლისელმა პილოტმა ნაიჯელ მენსელმა. მან ვერ მოზომა სისწრაფე და მაშინ, როდესაც ბოქსში შეავიდა საბურავების გამოსაცვლელად, გაცდა სარემონტო ზონის აღნიშნულ ზოლს. მენსელმა უკან დახია მანქანა, ეს კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება რბოლის წესებს (რბოლის საერთო მიმართულების საწინააღმდეგოდ ყოველგვარი მოძრაობა აკრძალულია). გარდა ამისა, მან რბოლა განაგრძო მაშინაც, როდესაც შავი დროშა აჩვენეს და მეგაფონითაც გაეფრთხილეს. ამის „საფასურად“ მენსელმა გამოტოვა ჩემპიონატის შემდგომი, ესპანეთის ეტაპი და 50 000 დოლარით დაჯარიმდა.

10.000 დოლარით დაჯარიმდა, აგრეთვე, ფრანგი ალენ პროსტიც („მაკლარენი“). ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეს სანქცია გამოწვეულია იმით, რომ პროსტი არ გამოცხადდა შეჯიბრების შემდგომ პრესკონფერენციაზე.

„ᲞᲝᲠᲨᲔ“ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

„მაკლარენის“ ფირმას უკვე ორი წელია, ვერავინ უწევს კონკურენციას „ფორმულა 1“-ის ტრასებზე. ამჟამად ამ ფირმის მანქანები იაპონური „ჰონდას“ ძრავებით არიან აღჭურვილი. 1982-87 წლებში კი „მაკლარენს“ „პორშე“ ამარაგებდა ძრავებით.

და აი, 1991 წლიდან „პორშე“ კვლავ უბრუნდება „ფორმულას“. ერთ-ერთმა თამაქოს კონცერნმა 3,5 ლიტრიანი მოცულობის სიმეტრიული ძრავის შესაქმნელად ფირმას 85 მილიონი დოლარი გამოუყო. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ „პორშეს“ დაბრუნება გამოაცოცხლებს „ფორმულა 1“-ის ასპარეზობებს.

ᲬᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠᲚᲕᲔᲕᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ განმავლობაში ორჯერ დააკავა პოლიციამ პროფესიონალი ავტომრბოლი, იტალიელი ფილიპ ელიოტი. დაკავების მიზეზი ორივეჯერ სიჩქარის გადაჭარბება იყო. მეორე შემთხვევა დაფიქსირდა რადარით, ელიოტს დაეკისრა ჯარიმა 900 ფრანკის ოდენობით და ახლა იგი უნდა წასდგეს სასამართლოს წინაშე, რათა ახსნას თავისი საქციელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოართმევენ მართვის მოწმობას.

ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲐᲚᲒᲐᲗ, სახელმწიფო მოღვაწეთაგან სპორტული შემართებით ვერავინ შეედრება არგენტინის პრეზიდენტ საულ მენემს. არც თუ დიდი ხნის წინ მან დიეგო მარადონასთან ერთად ითამაშა საფეხბურთო საქველმოქმედო მატჩში, შემდეგ კალათბურთელთა ასპარეზობაშიც მიიღო მონაწილეობა. ახალგაზრდობაში კი ჩოგბურთს თამაშობდა საერთაშორისო დონეზე.

ბოლოს ისიც გამოირკვა, რომ ახლანდელი პრეზიდენტი, თავის დროზე, ავტომრბოლიც ყოფილა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ „ფორმულა 1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის არგენტინის „გრან პრის“ გათამაშების საზეიმო ცერემონიალს სწორედ იგი ხელმძღვანელობდა,

ᲐᲕᲢᲝᲙᲘᲚᲘᲑᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐ Ი

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ, ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებში, ავტოსპორტშიც არსებობს. ამას წინათ დამყარდა ახალი რეკორდი მანქანის ტარების, ცოტა არ იყოს, უცნაურ „სახეობაში“ — ორ თვალზე სიარულში. ახალი რეკორდია 20 კილომეტრი, 6 მეტრი და 19 სანტიმეტრი.

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

სპეციალური ტირაჟი „გულმოწყალება“

1989 წლის 22 ოქტომბერს ლატარიაში „სპორტლოტო 5 36“-დან პირველად გათამაშდება სპეციალური საქველმოქმედო ტირაჟი.

ამ ტირაჟის მოგებას საკავშირო სპორტსახკომი გადასცემს ინვალიდთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის და ზურგის ტვინის ტრავმებით ავადმყოფთა და ბავშვთა ცერებრალური დამბლის საკავშირო სარეაბილიტაციო ცენტრს.

სპეციტირაჟის მოსაგებ ფონდს დაემატება 1988 წლის ხარეზერვო მოსაგები ფონდის მონარჩენი 158 ათასი მანეთი.

თავის მხრივ, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურმა საწარმომ გადაწყვიტა, რომ მათ, ვინც ამ ტირაჟში გამოიცნობს ხუთ ნომერს, მოგებული თანხის მიუხედავად, მიხცეს უფლება ნაღდ ანგარიშზე ურიგოდ შეიძინოს „ოიგულის“ მარკის (ვაზ 21063) ავტომანქანა, იმ პირობით, თუ ბილეთის „ბვ“ ნაწილები ჩაშვებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამ ტირაჟის ბილეთების გაყიდვა და მიღება დაიწყო 18 სექტემბერს და დამთავრდება „სპორტლოტოს“ 43-ე ტირაჟის ბილეთების მიღებასთან ერთად.

სპეციტირაჟის გათამაშება გადაიცემა ცენტრალური ტელევიზიით ა. წ. 22 ოქტომბერს, კვირას.

გიწვევთ „გულმოწყალების“ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად! დახმარება გავუწიოთ ინვალიდებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში აქტიური მონაწილეობის მისაღებად!

გისურვებთ წარმატებას.

„საკსპორტლოტო“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07275